საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№133 (6359) 3 ნოემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

შემოდგომაა, წუთსაც ფასი აქვს

თვალსა და ხელს შუა გვიქრება შემოდგომა, რომელიც საკმაოდ დაძაბულად და ათასგვარი სიახლეებით აღსავსე მიდის. მძაფრი პოლიტიკური სიტუაციით დამძიმებულ ცხოვრებაში ათასგვარი საფიქრალი გვიჩნდება და გასაკვირი როდია, რომ ცხოვრების რომელიმე უბანს, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად რაიმე ყურადღება მოაკლდეს. არადა რამდენი საფიქრალ-საზრუნავი გაგვიჩინა წარსულმა ცოდვებმა, მოუწესრიგებელმა ცხოვრების პირობებმა.

მრავალპარტიულმა არჩევნებმა ბოლოსდაბოლოს აგრძნობინა თავისი არსებობის აუცილებლობა ადამიანებს. მშრომელმა ადამიანმა იგრძნო, რომ მისი პატიოსანი, ერთგული გარჯა და შრომა-საქმიანობა საერთო სახალხო შრომის ნაწილია და ერთვნულ საქმედ ითვლება.

შრომის ცხარე დღეებია სოფლად, ჭირნახულის აღება-დაბინავების პერიოდი აქვთ მშრომელებს. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პირველი ეტაპია და ბევრი რამ გაუგებარია, ბევრი რამ, რაც აქამდე საზოგადოებრივად ითვლებოდა, ზოგმა თვითნებურად დაისაკუთრა, არც შემდავებელია ვინმე, არც განმკითხავი, ჯერჯერობით ხომ ყველაფერი ადამიანების სინდისზეა დამოკიდებული. ერთი ხომ ფაქტია, ბოლოსდაბოლოს ეს ყველაფერი მშრომელი კაცის ოჯახურ ბიუჯეტს შეემატება, ოჯახი კი ერთი ის უჯრედია, რითაც სახელმწიფო სულდგმულობს.

ვაზია ლეჩხუმელი კაცის შემოსავლის ძირითადი წყარო. მადლობა ღმერთს და ჩვენი ეკონომიკის სიმწირე თითქოს ბუნებამაც ისმინა, მეზვრეს ხელი მოუმართა და გასულ წლებთან შედარებით ბარაქიანია წლევანდელი შემოდგომა, მაგრამ შაქრიანობა არც ისე მაღალია და ყურძნის საბაზისო შაქრიანობისას ანაზღაურების მომატების შესახებ დაპირება, მხოლოდ დაპირებად დარჩა. შაქრიანობა ტვიშის რეგიონში 18,8 პროცენტია, ორბელის და ოყურეშის რეგიონებში კი შესაბამისად 17,8-17,4 პროცენტს შეადგენს. ყურძენს შაქრიანობა არ ემატება, არც რთველის ტემპია მაინცდამაინც მაღალი, არადა დაზამთრებამდე ბევრი აღარ დარჩა, დღეისათვის სულ დაკრეფილი და რაიონის ღვინის საწარმოებში მიტანილია 521 ტონა ყურძენი. გასული წლის ამ პერიოდში კი 1257 ტონა ყურძენი გვქონდა სახელმწიფოსათვის მიყიდული. სულ მიმდინარე წლის შემოდგომაზე რაიონის მშრომელებმა 3000 ტონა ყურძენი უნდა დაკრიფონ და მიიტანონ სახელმწიფო მარანში.

ხილის კრეფაც არანაკლები საშური და გადაუდებელი საზრუნავია. მშრომელმა კაცმა არ უნდა იზარალოს მოსავალი, რაც შეიძლება თავისუფლად, ყოველგვარი გართულების გარეშე მიჰყიდოს იგი სახელმწიფოს, არადა ბევრია წინაღმდეგობები. სოფლის დამამზადებელ პუნქტებთან დიდხანს ყოვნდება ხილი. ჯერ ტრანსპორტის, ხოლო შემდეგ საწვავის ძებნაში დრო მიდის, ამასობაში ხილის ხარისხი ეცემა და ისევ და ისევ მშრომელი კაცი ზარალდება.

მოსავლის აღებაა და დახმარება უნდათ სოფლის მშრომელებს.

სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ თესლოვანი ხილის რეზერვები უამრავია და ჯერჯერობით მხოლოდ 2420 ტონაა დამზადებული, გეგმა 4270 ტონის დამზადებას ითვალისწინებს.

შემოდგომაა. წუთსაც ფასი აქვს. ამინდები კი ჭირვეულობს. ზამთარი გვიახლოვდება, დავაჩქაროთ მოსავლის აღება და დაბინავება.

საქართველო გადარჩება

არჩევნები ჩატარდა, არჩევნები გრძელდება—საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, პირველი დემოკრატიული არჩევნები. პირველად სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველს საშუალება მიეცა აერჩია. და მიუხედავად შინაურთა და უცხოთა მტკიცებისა, რომ რესპუბლიკა მზად არ არის და არ სურს თავისუფლება, ქართველმა ხალხმა თავისუფალი საქართველო აირჩია. უარი უთხრა კომუნისტურ მმართველობას. ეს კარგად გამოჩნდა არჩევნების შედეგების პირველი მონაცემებითაც— საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ მიიღო ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. მომავალი ეროვნული პარლამენტის კონტურებიც გამოიკვეთა—დეპუტატთა მეტ ნაწილს სწორედ ამ საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლები შეადგენენ.

თავისუფალი საქართველო ირჩია ლეჩხუმმაც. ჩვენი ამომრჩევლების 60 პროცენტმა ხმა მისცა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალ საქართველოს“, ხოლო 53 პროცენტმა—ამ ბლოკის კანდიდატს ბატონ თამაზ ყურაშვილს. ამით ჩვენმა ხალხმა გამოხატა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მედგარი ბრძოლისათვის მზადყოფნა და ამ ბრძოლაში იწინამძღვრა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები, ბატონი ზვიად გამსახურდია.

მადლობელი ვართ, ძვირფასო ამომრჩევლებო, ამ ნდობისათვის, მადლობელი ვართ იმისათვის, რომ მხარი დაგვიჭირეთ გასაჭირის უამს, გვერდით ამოგვიდექით და საქართველოს გადარჩენის რწმენა გაგვიძლიერეთ. წინ დიდი ბრძოლები გველის და ამ ბრძოლებში მუდამ გვემახსოვრება, რომ ჩვენს უკან მთელი ერი, მთელი საქართველო დგას.

„მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციები:
სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ლეჩხუმის ფილიალი
ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაცია.

ბრიფინგი საერთაშორისო პრესცენტრში

არჩევნებიდან წინასწარი შედეგების გამო

29 ოქტომბერს საღამოს თბილისში, სასტუმრო „აჭარის“ კონფერენცდარბაზში, სადაც საერთაშორისო პრესცენტრია განლაგებული, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოაწყო ბრიფინგი საქართველოში აკრედიტებული საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საკუთარი კორესპონდენტებისა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ბრიფინგზე გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია, რომელმაც აღნიშნა, რომ გამართული არჩევნებისადმი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს იყო ჭეშმარიტად მრავალპარტიული არჩევნები დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსახლეობის დიდი აქტიურობისა და დაინტერესების პირობებში, ამასთან გამოვლინდა ჯეროვანი პოლიტიკური კულტურა. ამის შედეგად არჩევნებმა ჩაიარა ყოველგვარი სერიოზული ექსცესებისა და ახალი კანონიდან გადახრების გარეშე. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შემოსულა არც ერთი საჩივარი პარტიებისა თუ ბლოკებისაგან.

არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ დაზუსტებულა, მაგრამ, როგორც წინასწარი გამოანგარიშება გვიჩვენებს, მათ გადააჭარბეს ყველაზე გაბედულ პროგნოზებს, რომლებსაც არჩევნებს წინ გამოთქვამდნენ. ბრიფინგზე დაასახელეს რამდენიმე განზოგადებული ციფრი. მხოლოდ წინასწარი გამოანგარიშებით, არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სულ ცოტა 65 პროცენტი. არჩევნების მონაწილე თერთმეტი პარტიიდან და ბლოკიდან ამომრჩევლებმა რეალური უპირატესობა მიანიჭეს ორს— ბლოკს „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ და საქართველოს კომპარტიას. შედეგად ორივემ მიცემული ხმების დაახლოებით 92-95 პროცენტამდე დააგროვა, ამასთან „მრგვალი მაგიდა“ თითქმის ორჯერ უსწრებს თავის უახლოეს კონკურენტს. რაც შეეხება დეპუტატობის კანდიდატთა არჩევნებს, რომელიც საარჩევნო ოლქებში პერსონალურად მიმდინარეობდა, 30 მათგანში არჩევნები ხელმეორედ გაიმართება, რადგან მიუხედავად ისისა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა, აქ ვერ განისაზღვრა დეპუტატის მანდატის მფლობელი. აქვე უნდა ითქვას, რომ მაჟორიტარული სისტემის მიხედვით 34 მანდატი უკვე მოიპოვეს „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებმა, ხოლო 20-მდე მანდატი—საქართველოს კომპარტიამ. არჩევნების საბოლოო შედეგები ცნობილი გახდება უახლოეს დღეებში.

ბრიფინგზე გამოვიდნენ საერთაშორისო მეთვალყურენი, რომლებმაც დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი გამართული არჩევნების გამო.

საინფორმაციო სააგენტო საქართველო.

ჩვენო მკითხველო!

გვიახლოვდება ახალი, 1990 წელი. ახლა, როცა ქართველმა ხალხმა აირჩია ახალი ეროვნული პარლამენტი, ფაქტიურად საქართველოში დასაბამი მიეცა ახალ ერას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის რეალობას, სხვა მიმართულებები და სწრაფვა აქვს პერიოდულ პრესას. მათ გვერდითაა ჩვენი რაიონულ გაზეთი „ლეჩხუმი“. მისი მთავარი თემა გახდება ეროვნული, პოლიტიკური საკითხები, საზოგადოებრივი აზრის თავისუფლება და საჯაროობა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, დემოგრაფიის, ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები, ბიბლიური თქმულებები, ლიტერატურული გვერდები, გამსვლელი რედაქციები, მკითხველთა შეხვედრები..

ძვირფასო მკითხველო! მერამდენედ გამოვდივართ თქვენს წინაშე და ვიმეორებთ, რომ კატასტროფულად გაძვირდა პერიოდული პრესა. ჩვენი გაზეთის ფასიც 7 მანეთი და 80 კაპიკი გახდა. ეს მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისა და სოციალური ინტერესების დაცვაყოფილების გზაზე საბჭოთა მთავრობის კიდევ ერთი „სიურპრიზია“. რას ვიზამთ, ძალა აღმართს ხნავს.

სიძვირეს ისიც დაემატა, რომ წელს ორგანიზებულად ვერ წარმართა ჟურნალ-გაზეთების ტამოწერა. ადგილებზე არავინ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი, დაძაბული პოლიტიკური, ეკონომიკური სიტუაციაც დაემთხვა პრესის გავრცელების პერიოდს და ყველაფერმა ერთად საფრთხის წინაშე დააყენა რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ ხელმოწერის საიმედოობა.

ჩვენ გვწამს, რომ მშობლიური გაზეთის გამოწერაში არც ერთ თქვენთაგანს არ დასჭირდება არც ხვეწნა-მუდარა და არც ძალადობა. გვწამს სურვილიც გექნებათ გამოწერის, მაგრამ ვიმეორებთ—უბრალოდ არაორგანიზებული მუშაობის პირობებში ვერ გამოგინახავთ შესაბამისი დრო და ადგილი.

გაზეთი შეგიძლიათ გამოიწეროთ საფოსტო, „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, გნებავთ, ჩვენთან რედაქციაში. ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვემსახურებით თითოეულ თქვენთაგანს. პარალელურად მოვისაუბრებთ გაზეთის ავ-კარგზე, სამომავლო გეგმებზე, ახალ თემებზე, თითოეული თქვენი წინადადება, შენიშვნა და სურვილი ჩვენთვის დიდად საინტერესო იქნება.

მაშ ასე, ძვირფასო ლეჩხუმელებო, იჩქარეთ! გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“,

შეგახსენებთ: გაზეთზე ხელმოწერის ბოლო ვადაა 15 ნოემბერი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

სიტყვა — ყველას!

განუკითხაობა

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ქვეყანასა და რესპუბლიკაში სერიოზული სირთულეებია შექმნილი სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, სირთულეებია სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში, არ არის ბენზინი, გაზი, თამბაქო და ა. შ.

სირთულეებია, მაგრამ გამოსავალი კაცოკვლაში, ურთიერთ ლანძღვასა და გინებაში, ხელკეტობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ ისეთი, რაც გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან. ამ გზად, პირველ რიგში, მესახება შრომა, შრომის შედეგის მიღებამდე კი—მოთმინება, გონივრული მოქმედება, იმ მცირედის გონივრულად გამოყენება. ფაქტია, რომ თუ შრომას არ მოვკიდეთ ხელი და არსებული პროდუქტების თუ საქონლის მოხმარება—განაწილებაში ასეთი განუკითხაობა გაგრძელდა, უეჭველია მდგომარეობა მომავალში კიდევ უფრო გაუარესდება.

ძალზე წუხდა მოსახლეობა, როცა თავისუფლად ვეღარ იშოვა შაქარი, საპონი. თუ გამოჩნდებოდა მაღაზიაში, თავპირის მტვრევა იყო, სამაგიეროდ ზოგიერთი საკმაოდ მეტსაც შოულობდა, ზოგი კი გრამ შაქარსც და ერთ ცალ საპონსაც ვერ იღებდა თვეების განმავლობაში. გამოჩნდა ვიღაც ჭკვიანი ხელმძღვანელი და დაიწყო შაქრის და საპნის გაცემა სიებით. სიებში გათვალისწინებულია ოჯახში სულთა რაოდენობა, პიროვნებამ იცის, რომ შაქარს თუ საპონს თუ თვის დასაწყისში ვერ მიიღებს, მიიღებს შუა თვეში ან თვის ბოლოს. რა მოყვა ამას? მოყვა ის, რომ რამდენიმე თვეა მაღაზიებში შაქრისა და საპნისათვის რიგი არ დგას, რა არის აქ ცუდი? პირიქით, ეს არის გონივრული მოსაზრება.

ეხლა გადავხედოთ რა ხდება ბენზინისა და გაზის გაცემის დროს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ როგორც იტყვიან, ტრიალებს ცოდვის კითხვა. არეულ-დარეული რიგები, ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება და ა. შ. ამ ორომტრიალში გამარჯვებული გამოდის ის, რომელიც ფიზიკურად ძლიერია, ან უმსგავსო მოქმედებაში ხელს არ უშლის ნამუსი, მიჩვეულია ხელის ჩამორთმევასავით ლანძღვა-გინებას, ასეთი 100-200 ლიტრ ბენზინს, 4-5 ცალ გაზის ბალონს მიიტანს სახლში, დამარცხებული კი, ბენზინისა და გაზის ცარიელ ბალონებს და მასთან ერთად ლანძღვა-გინებას.

ნუთუ არავინ არ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას, თუ ტალონების დაბეჭდვა არ ხერხდება, ისეთი სიების შედგენას რაღა უნდა, როგორიც შაქრისა და საპნის გასაცემად არის შემოღებული.

არის ასეთი მოსაზრება: ეს იმიტომ არ კეთდება, რომ არ ვართ გარანტირებული, ყველა დაკმაყოფილდეს დაწესებული ნორმის შესაბამისადო. სამაგიეროდ, ერთეულებს ხომ აღარ ექნებათ საშუალება 4-5 ნორმა ბენზინი ან გაზის ბალონი მიიღონ. თუ დიდი ნორმის საშუალება არ არის, გაიცეს 40-20 ლიტრი ბენზინი, ერთი ცალი გაზის ბალონი. ამით გამოვხატავთ მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობის კმაყოფილებას.

ღმერთმაც კარგი ქნას, მაგრამ ხომ მოსალოდნელია შემცირდეს პურის ცხობის ოდენობა, შემცირდეს პურის ფქვილის ფონდი. როცა ბენზინსა და გაზზე ასეთი მდგომარეობაა, წარმოიდგინეთ რა მოხდება პურის სინაკლულობის შემთხვევაში. ვფიქრობთ კი ამ საკითხზე? გონივრულად ვუდგებით პურის მოხმმარებას?—არა ოჯახში ცხოვრობს ერთი სული. ყოველრღიურად ყიდულობს 3-4 ცალ გამომცხვარ პურს. რა მადა უნდა ჰქონდეს ადამიანს ისეთი, რომ დღეში 3-4 ცალი პური შეჭამოს. განმარტება, ვფიქრობ, საჭირო არ არის.

მაღაზიაში მოვიდა გასაყიდი პურის ფქვილი, რამდენს ყიდულობს ოჯახი? ერთს და ორს კი არა, 5-8-10 ცალს, სამაგიეროდ მოსახლეობის უმრავლესობას არცერთი ცალი არ ხვდება. ერთი ამას წინათ ხალხში იკვეხნიდა—12 ცალი პურის ფქვილი ქე მოვაუუჩე და სხვამ იკითხოსო.

თვეობით შეწყდა თამბაქოს ნაწარმის გამოშვება, რამაც დიდად შეაწუხა თამბაქოს მწეველები. სამაგიეროდ გაიხარეს ვაჭრობის მუშაკებმა და იმ პირებმა, რომლებიც დასპეციალებული არიან სპეკულაციაში. იმ პერიოდში თამბაქოს ფასზე ვიღა ლაპარაკობდა, ვიღა დაობდა, ოღონდ ეშოვნა, თუნდაც დამპალი ყოფილიყო, 25 კაპიკიანი „ასტრა“ მანეთად და ორმანეთად იყიდებოდა, მე მარტო ჩვენი რაიონი არ მაქვს მხედველობაში. აუტანელი მდგომარეობა იყო ქალაქებში, ყველას თვალწინ, ხელმძღვანელის თუ არახელმძღვანელის, მაკონტროლებლის თუ სხვათა თვალწინ 5 მანეთად იყიდებოდა 70 კაპიკიანი სიგარეტი. განმკითხავი არ ჩანდა და არ ჩანს. ცენტრალურმა პრესამ, ტელევიზიამ გვაუწყა, რომ თამბაქოს ქარხნებმა მუშაობა განაახლეს 1 სექტემბრიდან ნაწარმი კი კვლავ არ არის. რაშია საქმე? ან პრესა და ტელევიზია სტყუის, ან ეს საქონელი კვლავ იმ პირების ხელში იყრის თავს, რომლებიც მათი რეალიზაციით ჯიბეს ისქელებენ. კი მაგრამ, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?

ერთი საკითხი: როგორც ამბობენ, ასრულდა გლეხის ნატვრა, დაიშალა კოლმეურნეობები, სახნავი, სათიბი, საძოვარი გლეხის განკარგულებაშია, მომრავლდა მოსახლეობაში პირუტყვი, გვეგონა ეს დადებითად იმოქმედებდა ბაზარზე, მოხდა პირიქით, ყველი 3-4 მანეთიდან კილოგრამი 8-9 მანეთზე ავიდა. ხორცი 8 მანეთი, სიმინდის ფქვილი კილოგრამი 3 მანეთი. ალბათ ხვალ და ზეგ უარესი მდგომარეობა იქნება. მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო მშრომელს, გლეხს, მას უფლება აქვს, თავისი ნაშრომი როგორც უნდა ისე შეაფასოს, მაგრამ ნათქვამია: „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო,“ თქვე კარგო ადამიანებო, ერთი კილოგრამი სიმინდის ფქვილით 5 ცალ გამომცხვარ თეთრ პურს რომ ყიდულობთ, ღმერთი სრულებით აღარ გწამთ?

ისმება კითხვა, რატომ ხდება ყოველივე ეს. ხდება იმიტომ, რომ საქმის განმკითხავი არავინ არის. მოწოდებული ორგანოები თუ პირები ან არ ინტერესდებიან შექმნილი მდგომარეობით, ან არაფრად აგდებენ ხალხის გულისწყრომას. დარწმუნებული ვარ, არცერთ მოწოდებულ ამხანაგს, თავისი თვალით არ უნახავს, რა ხდება ბენზინის და გაზის გაყიდვისას, არ დაინტერესებულა პურის მოხმარების საკითხებით, ბაზრის მდგომარეობით და სხვა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ წლებს, ქვეყანაში ერთი პარტია არსებობდა, რომელიც თუ სრულყოფილად არა,—გარკვეულ წილად მაინც უზრუნველყოფდა საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტას. ახლა რესპუბლიკაში მგონი 100-ზე მეტი პარტიაა, მათ შორის 35 პარტიის წარმომადგენელი უმაღლეს ორგანოში ასარჩევად ემზადება, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელმძღვანელის პოსტი დაიკავოს, ადგილზე კი არცერთი არაფერს აკეთებს.

დიდ პრობლემებზე რა უნდა თქვა, როცა ხელმძღვანელი ორგანოები თხოვნა-განცხადებაზე არა თუ რეაგირებენ, პასუხსაც არ იძლევიან.

სამი თვის წინ ჩვენი უბნის მცხოვრებლებმა განცხადებით მივმართეთ რაისაბჭოს აღმასკომს, სახალხო ფრონტს, წერილი მოვათავსეთ ადგილობრივ გაზეთში იმის თაობაზე, რომ უბნის მცხოვრებლები განვიცდით ელექტროენერგიის უმარისობას, რის გამოც უმოქმედოდაა ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, მაცივრები, ზედმეტია ლაპარაკი ღამის საათებში ამ სინათლეზე ჟურნალ-გაზეთების წაკითხვის შესაძლებლობაზე. მოვითხოვდით 2 წლის წინ მოტანილი ქვესადგურის დამონტაჟებას და მოქმედებაში მოყვანას—შედეგი: არც რაიმე გაკეთებულა, არც ვინმეს პასუხი მოუცია. შორიდან გავიგეთ, რომ მოსახლეობაში ხაზის გამოყვანაზე წინააღმდეგობაა. ტყის პირზე გამოყვანა კი არ ხერხდება იმის გამო, რომ მოიჭრება რამდენიმე ძირი მუხის ხე. მუხის ხე წითელ წიგნში ყოფილა, ადამიანი კი შავ წიგნში.

ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები ყველა დამნაშავე პირებზე უფრო ანგარიშს უწყობენ, ასაკოვან—პენსიონერ ამხანაგებს. იოტისოდენა გაკვირვებისთანავე მხედველობაში მაქვს მთხოვნელის მათთან მისვლა—უცბად ატყდება ტელეფონების რეკვა ორგანიზაციებში. დადგენენ მუშაობს პენსიონერი და თუ მაგრად არ იქნა პენსიონერი უმალვე დაუწერენ განთავისუფლების ბრძანებას. ყურადღებას კი არ აქცევენ იმას, თუ ეს პენსიონერი ვინ არის, რა შეუძლია, შეუძლია თუ არა დაკისრებული საქმის შესრულება და სხვა. სამაგიეროდ ნიშნავენ მის ადგილზე ასაკით ნაკლებს, მაგრამ მხედველობაში ვინ ღებულობს ის რას წარმოადგენს. გამოდის რომ დანაშაულად თვლიან ადამიანის ადრე დაბადებას.

საკმაო დიდი ხანია ჩვენი ქვეყანა ეტრფის კაპიტალისტურ სამყაროში არსებულ მდგომარეობას, ქვეყნის ხელმძღვანელი ბირთვის გეზი აღებულია იქეთკენ, რომ შევისწავლოთ მათგან, როგორ ვაკეთოთ საქმე—თუ ეს ასეა, რატომ არის რომ სახელმწიფოს მეთაურების უმრავლესობა 60 და მეტი წლისანი არიან, როგორ? ამერიკელ თუ ინგლისელი 60 წლის ასაკს მქონე პირისაგან რით განსხვავდება ჩვენი 60 წლის ადამიანი

გაზეთის მკითხველთა და უფრო სწორად ამ წერილის მკითხველთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ის, რაც ამ წერილშია მოკლედ თქმული, მარტო ჩემი გულისტკივილით კი არ არის გამოწვეული, არამედ ამ აზრს იზიარებს ათასობით ადამიანი და თუ ჩემს ამ მოსაზრებაში რაიმე უზუსტობაა და არასწორია, გთხოვთ, თქვენი აზრი გამოთქვათ.

რომელი გაზეთიც არ უნდა წაიკითხოთ — ყველა წერილის ბოლოს მიწერილია „ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“ კარგია ეს, მაგრამ შეგახსენებთ ერთხელ ღმერთმა რა უთხრა წყალში ჩავარდნილ კაცს: კაცი, რომელიც წყალში იხრჩობოდა, შესჩივლა ღმერთს: ღმერთო მიშველეო, ღმერთმა უპასუხა, ხელი გაანძრიე და გიშველიო“.

უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის გარეშე, მინდობილი საქმის შეუსრულებლობის გარეშე, ჩვენ შორს ვერ წავალთ და მარტო ღმერთის შევედრება ვერ გვიშველის, მართლაც ხელი გაგვენძრიოს და ღმერთმა გვიშველოს.

კ. ღურჭუმალიძე.

როგორი ეროვნული პარლამენტი გვსურს?

ინქმეთ სახელდასელი პასუხები

ის დღე არ იყო ჩვეულებრივი კვირადღე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეს იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში ისტორიული დღე, ისტორიული შემობრუნების დასაწყისი. ქართველმა ხალხმა საბჭოთის ისტორიაში პირველად ამ დღეს განახორციელა საკუთარი პოლიტიკური ნება, თავისი გულისა და გონების კარნახით ხმა მისცა ეროვნული პარლამენტის წევრობის ღირსეულ პრეტენდენტებს.

არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვიცით. ეს იყო პირველი, მრავალპარტიული არჩევნები და ახლა კიდეც არა ერთი უზუსტობა და ლაფსუსი, მაგრამ ერთი უდავოა—საარჩევნო უბნებში ისეთი რიგი იდგა, საარსებო პროდუქტებზე რომ გვინახავს, მაგრამ არა ჭყლეტა და უწესრიგობა, არამედ აბსოლუტური სიმშვიდე, დაფიქრებული სახეები, ყველა ერთსულოვანი იყო—შეესრულებინა თავისი წმინდა ქართველური მისია, აერჩია მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი, ისეთი, რომელიც ხორცს შეასხამს ქართველი ხალხის სანუკვარ ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ ოცნებებს, წინ წარუძღვება მამულს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რთულ გზაზე.

ბევრ ოლქში არჩევნები დასრულდა, ბევრგან ხელახლა მოეწყობა ან მეორე ტური გაიმართება. ამ გარდამავალ ეტაპზე ნებისმიერ ქართველს აღელვებს როგორი იქნება ეროვნული პარლამენტი, რას მოგვიტანს ახალი ერა ჩვენი ცხოვრებისა.

ჩვენ შევხვდით რამდენიმე მკითხველს, სხვადასხვა ასაკისას და თვალსაზრისისას, სხვადასხვა პროფესიისას. ვფიქრობთ, საინტერესოა მათი პასუხი კითხვაზე:

როგორ პარლამენტს ისურვებდით?

ნ. კოპალიანი: ჩემის აზრით, ეროვნული პარლამენტი ამ ეტაპზე უნდა იყოს მუშა-პარლამენტი, კონკრეტული საქმიანობით დატვირთული, ძირითადი აქცენტი უნდა გადაიტანოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. პარლამენტში აუცილებლად უნდა შევიდეს არა მხოლოდ „მრგვალი მაგიდისა“ და კომუნისტების, არამედ ეროვნული მოძრაობის სხვა ბლოკების წარმომადგენლები.

თ. საღინაძე: პარლამენტი მესახება ისეთი, რომელიც დემოკრატიულ, ჰუმანურ საფუძველს დაემყარება, ემსახურება მშობელ ხალხს. წინა პლანზე წამოსწევს გარდამავალი პერიოდის საჭირბოროტო საკითხებს, ხელს შეუწყობს ადამიანებში რწმენისა და სარწმუნოების აღდგენას.

ვ. დავითულიანი: ხმების უმრავლესობა თითქმის ერთი ბლოკის—„მრგვალი მაგიდის“ ხელში აღმოჩნდა. ამაზე უნდა დავფიქრდეთ.

ეროვნული პარლამენტი უნდა იყოს ჰუმანური, გამოდიოდეს ხალხის ინტერესებიდან, პირველ რიგში, სიმშვიდე და წესრიგი დაამყაროს. პარლამენტმა უნდა მიიღოს საამისო კანონები და რაც მთავარია დაიცვას. ქაოსმა, განუკითხაობამ, დანაშაულებებმა კატასტროფულად იმატა, შეაშინა, დააბნია ადამიანები. უნდა აღიკვეთოს ქურდობა, მექრთამეობა, სპეკულაცია, რაც ადამიანებს ყელეფს, კაცკვლა, ყოველგვარი უზნეობა.

ი. გელოვანი: როგორი პარლამენტი მსურს? მე ვინ მეკითხება, თორემ...

ისე ნოდარ ჭითანავასნაირი ჭკვიანური, უნარიანი თანამემამულენი უნდა იყონ პარლამენტში.

ხ. ჩარკვიანი: როგორი პარლამენტი? რა ვიცი, აბა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გასარკვევია.

ლ. კუკულავა: პარლამენტი უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი, ჰუმანური და მერე ყველაფერი აეწყობა, თავის ადგილზე დალაგდება.

მ. ნემსწვერიძე: პარლამენტი? არ მიფიქრია, ვერ გეტყვი, ჩემი საქმე არ არის.

(?!)

* * *

სრულიად საწინააღმდეგო აზრებია. ბევრი ღელავს, ფიქრობს, ბევრსაც უჭირს პოლიტიკური აზრების ჭიდილში რაიმეს თქმაც კი, მაგრამ ერთი უდავოა, სურვილი და იმედი ერთია—საქართველოს ნათელი მომავალი, ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა და ცხოვრება

ჩვენი პირველი თანაშემწე

მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება მოითხოვს სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობის ახლებურად მოწყობას. ოჯახი და სკოლა—ეს სიტყვები, როცა საკითხი ახალგაზრდობის აღზრდას ეხება ერთ ცნებად ერთიანდება, სკოლისა და ოჯახის ვალია აღზარდონ მომავალი თაობა სამშობლოს უანგარო სამსახურისა და უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს მომავალი ბედი, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა თვისებებით იქნება შეიარაღებული მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორი მსოფლმხედველობა, მრწამსი ექნება მას.

მოსწავლეთა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების, მათში შრომისადმი სიყვარულისა და ზნეობრივი თვისებების აღზრდის გზების, ხერხების, მეთოდების, საშუალებების მეტად მდიდარი არსენალი მოგვეპოვება. მათი ეფექტური გამოყენებისათვის ერთნაირად უნდა ზრუნავდეს სკოლა და ოჯახი. ეს მოთხოვნები ახალ შინაარსს იძენს ერთიანული სკოლის კონცეფციით ქალაქედ ჩამოყალიბებაში. ჯერ კიდევ ადრე დიდი ილია წერდა, „საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლისა. ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ“.

დიდი ილიას მიერ მშობლის გულში ჩამწვდომმა და დამაფიქრებელმა ამ შთაგონებამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის ჩამოყალიბებაში, ეს შთაგონება დღესაც ფასდაუდებელია და მშობლის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს. დღეს კიდევ უფრო გაიზარდა მომავალი თაობის აღზრდაში მშობელთა წინაშე წაყენებული მოთხოვნები.

სკოლასთან ერთად მომავალი თაობის სწორად აღზრდისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, ოჯახს. რაც უფრო მეტს გააკეთებს ოჯახი შვილის სწორად აღზრდისათვის, მით უფრო ბედნიერი იქნება მშობელთა ცხოვრება.

ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექციას, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სკოლაში სასწავლოგათვალისწინებული ცალკეული ამოცანების განხორციელების პროცესში. წარმოუდგენელია მოზარდის სწორად აღზრდა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირის გარეშე.

საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვთ ბავშვის აღზრდაში, მის წესიერ მოაღმზრდელობითი მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარიმართება კარგად, როდესაც მშობლები და აღმზრდელ-მასწავლებლები შეგნებულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ერთობლივი ღონისძიებებით ყველაფერს გააკეთებენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის.

სკოლის დირექცია ყველაფერს აკეთებს მშობლებთან მუშაობის არსებითად გარდაქმნისათვის. ამ საქმეში წამყვან როლს ვანიჭებთ მშობელთა კომიტეტს, კლასის ხელმძღვანელს, მათ მოქნილ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის განმტკიცება.

დირექციის, მშობელთა კომიტეტის, კლასის ხელმძღვანელის თითოეული პედაგოგის მუშაობის დევიზია კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ოჯახსა და სკოლას შორის. მათი მუშაობა მიმართულია ძირითადი მიზნის—მოზარდი თაობის სწორი აღზრდის განხორციელებისკენ, რისთვისაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ვანიჭებთ მშობელთა პედაგოგიზაციას, რაშიც კარგ სამსახურს გვიწევს მშობელთა სახალხო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ნაყოფიერი მუშაობა. სკოლის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, პედაგოგიური გამოცდილების მქონე მშობლები უნივერსიტეტის მსმენელებისთვის აღზრდის აქტუალურ საკითხებზე ატარებენ ლექციასაუბრებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს. მათთან ჩატარებულია ლექციები თემებზე: „ოჯახი—აღზრდის უპირველესი კერა“, „მშობლების მაგალითის როლი მოზარდის მაღალმოქალაქეობრივი თვისებებით აღზრდაში“ „კულტურული ჩვევების აღზრდა ოჯახში“, „ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა ოჯახში“ და სხვა.

კლასის ხელმძღვანელები მშობლებს უჩვენებენ კონკრეტულ გზას შვილების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისათვის, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მშობელი არა მარტო სიტყვით, არამედ საკუთარი ქცევით იყოს ბავშვისათვის გულმართლობისა და პატიოსნების მაგალითის მაჩვენებელი და ჩამნერგავი. რჩევა-დარიგებით ეხმარებიან მშობლებს ბავშვების შრომისა და დასვენების ორგანიზაციის, დღის რეჟიმის დაცვის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების და ოჯახში მათი აღზრდის სწორად გადაწყვეტის მოგვარებაში.

ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მშობლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ კარგად იცის სკოლის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების სირთულეები, ისინი ალღოს უღებენ დღევანდელ სიტუაციას, შვილებთან ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას, მოხერხებულად უნერგავენ სწავლისა და შრომის სიყვარულს, უფროსებისადმი პატივისცემას. ამის შედეგიცაა, რომ სკოლაში არ გვყავს ძნელად აღსაზრდელი და ცუდი მიდრეკილების მქონე ბავშვი. 150 მოსწავლიდან სასწავლო წლის ბოლოს ფრიადოსანი გვყავდა 24, კარგოსანი—47, არ გვყავს არცერთი მეორეწლიანი მოსწავლე.

მშობლები სისტემატურად მოდიან სკოლაში და ეცნობიან ახალგაზრდობის აღზრდის პერსპექტიულ ფორმებსა და მეთოდებს, მასწავლებლები და მშობლები დაკვირვებას აწარმოებენ აღსაზრდელის ქცევაზე [illegible] დო დასკვნებსაც აკეთებენ, რაც ხელს გვიწყობს სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში.

თითო-ოროლა, მაგრამ მაინც გვყავს ისეთი მშობლები, რომელთა ოჯახებში დარღვეულია ოჯახური რეჟიმი. ზოგიერთი მშობლები ხშირად ჩხუბობენ ერთმანეთში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აღსაზრდელზე. კლასის ხელმძღვანელები ასეთ მშობლებთამ მუშაობენ, იღებენ ქმედით ზომებს მდგომარეობის შესაცვლელად, სკოლის დირექციას ახლო კავშირი გვაქვს იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, სადაც არამყარი ოჯახის წევრები მუშაობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხუტელის საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებელი პირობებია მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდისათვის, ჯერ-ჯერობით ამ საქმეში კვლავ გვაქვს ნაკლოვანებები, ამას ჩვენ კარგად ვგრძნობთ და მათი დაძლევისათვის ვატარებთ ღონისძიებებს, რომ ერთად და ერთნაირი მონდომებით იღვაწოს სკოლამ, თითოეულმა მასწავლებელმა, მშობელთა კომიტეტმა, მამათა საბჭომ, თითოეულმა მშობელმა, რომ აღვზარდოთ ღირსეული მამულიშვილები.

ბ. მიქაძე,
ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი „ლ ე ჩ ხ უ მ ს“

მადლობას იმსახურებს

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ თავის ცხოვრებას ხალხის სამსახურში ატარებენ, რითაც იმსახურებენ მათ ნდობასა და სიყვარულს. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება სოფელ ჭალისთავში მცხოვრები ძაძუ კოპალიანი, რომელიც რამდენიმე ათეული წელია ქვედა ცაგერის სოფლის მაღაზიაში მუშაობს. მომარაგებელ-გამყიდველად.

ვაჭრობის გამოცდილ მუშაკს, ქალბატონ ძაძუს უპირველეს საქმედ ხალხისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვა მიუჩნევია. რიგიანად ემსახურება მომხმარებელს. ყველა სახის საქონელი წესიერად აქვს განლაგებული თაროებზე. მაღაზიაში სისუფთავეა.

მიუხედავად დეფიციტისა, მაღაზიაში თითქმის ყოველთვის არის პირველი მოთხოვნილების საქონელი: შაქარი, მარილი, სარეცხი საშუალებანი, ასანთი, პურის ფქვილი, გამომცხვარი პური და სხვა.

სულ რამდენიმე დღის წინ მაღაზიამ პურისფქვილი მიიღო. გამყიდველი დიდი სიფრთხილით მოეკიდა მისი განაწილების საქმეს. ოჯახები რომ კმაყოფილი ყოლოდა, თავისი წილი ყველას მიუჩინა. სხვა სოფლის მცხოვრებლებს ასეთი პასუხით ისტუმრებდა: „ჯერ ამ მაღაზიის მომსახურების მცხოვრებლებზე გავსცემ და თუ გადარჩა შემდეგ თქვენ გიბოძებთო“. ასე გულისხმიერად იქცევა სხვა საქონლით მოსახლეობის მომარაგების საქმეშიც. სწორედ ამიტომ შეიყვარა იგი სოფელმა და მცხოვრებთა უმრავლესობა მისი მომსახურებით კმაყოფილია.

დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ ძაძუ კოპალიანს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ხალხის მომსახურებაში.

ო. ყურაშვილი,
სოფელი ქვედა ცაგერი.

როდემდე?

უკვე სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობამ მოხსნა ავტობუსის რეისი ლვირიშიდან უცხერამდე, გზის უვარგისობის მიზეზით. სამი წლის წინ ავტობუსი დადიოდა სოფელ უცხერის ცენტრამდე.

ამ სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად წერილობით და რაიონული გაზეთის საშუალებით ვახსენებთ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებს აღადგინონ ავტობუსის მოძრაობა უცხერამდე. მიმდინარე წლის დასაწყისში ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობამ, პირადად ამხანაგ ზ. მუშკუდიანმა ჩვენს თხოვნაზე გვიპასუხა „როგორც კი დამთავრდება ხიდის მშენებლობა და შერემონტდება გზა, იმ დღესვე აღდგება ავტობუსის მოძრაობა უცხერამდეო“. ხიდიც გაკეთდა, გზაც შერემონტდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, ავტობუსი კვლავ არ ჩანს.

უთქვამთ: „ნაჩვევს ნუ მოაკლებ, უჩვევს ნუ შეაჩვევო“, ასეა ჩვენი საქმე, წლების მანძილზე დადიოდა ავტობუსი უცხერში გაცილებით ცუდ გზაზე, ახლა საუკეთესო გზაა და უცხერში მცხოვრები პენსიონერები. მთელი მოსახლეობა გაკვირვებულია რატომ არ აღადგინეს ავტობუსის მოძრაობა ჩვენს სოფელში, როდემდე გაგრძელდება ეს დაპირება?

ერთხელ კიდევ ვთხოვთ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებს მოგვაქციონ ყურადღება, აღადგინონ ავტობუსის მოძრაობა.

პენსიონერთა სახელით

ბრ. ახვლედიანი,
სოფ. უცხერი,

გაკეთდა საშვილიშვილო საქმე

მთელი სოფლის სახელით

სოფლის სიმდიდრე, სასიცოცხლო ძარღვი გზაა. ეს პრობლემაა უმთავრესი ყველა ლეჩხუმური სოფლისთვის,

სოფელი ჩხუტელი აქვეა, ქალაქის გაგრძელებაა, მაგრამ წლების მანძილზე ვერ ეღირსა სოფელს ნორმალური გზა. განსაკუთრებით არხისპირა გზა იყო ცუდ მდგომარეობაში, წყალი გუბდებოდა, გავლა შეუძლებელი იყო და პატარები არხის ბეტონზე გადი-გამოდიოდნენ.

№23 საგზაო სამმართველომ მოჰკიდა ხელი ამ გზის კეთილმოწყობას. მთელი კოლექტივი დაირაზმა, საგუბრის ტერიტორიიდან სოფელ ლასხანის ასახვევამდე მოიხრეშა დაორმოებული გზა, გაუკეთდა კვლები. უბანი თავზე ადგა გზის მშენებლობას. სოფელი მადლიერია ყველასი, დაწყებული უფროსიდან დამთავრებული რიგით მუშამდე. მშენებლებს ჩვენც, სოფლის მშრომელებიც დიდი სიამოვნებით ვეხმარებოდით და გაკეთდა საშვილიშვილო საქმე, მოასფალტდა გზა. ახლა სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი შვილების ამ გზაზე გავლა აღარ გვეშინია.

მადლობა გზის მშენებლებს მთელი სოფლის სახელით, მადლობა ყველას, ვინაც ხელი შეუწყო სოფლისთვის ამ უპირველესი პრობლემის გადაწყვეტას.

ჟორა გუგავა,
სოფ. ჩხუტელი.

მადლიანი, თავანკარა წყარო

ჩვენი ქალაქის ძველ უბანში, ყოფილი საავადმყოფოს ახლოს, ჩოჩუხჩუხებს წყარო ანკარა. ქალაქის ყოველი უბნიდან, მით უფრო ზაფხულში მოდიან აქ ადამიანები, შეისვენებენ, გადაიგრილებენ, ცივ წყალს დაეწაფებიან... წყარო წელიწადის ყოველ დროს წყალუხვია, ზაფხულში თუ ყინულივით ცივია, ზამთარში თბილია და სასიამოვნო.

დიდი ხნის ისტორია აქვს ამ მადლიან წყაროს. ამ კუთხის უხუცესებს ასეთივე ახსოვთ იგი. გადმოცემა კი სხვადასხვა არსებობს წყაროზე. ერთი თვლის, რომ იგი გვესოს ციხე-კომპლექსიდან გამოუყვანიათ თიხის მილებით, და თითქოს ასეთი წყაროები სხვაც ჰქონდა გვესოს ციხე-ეკლესიას, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიკარგა. ამბობენ იმასაც, რომ წყარო ადგილზევე ამოჩუხჩუხებს.



წყაროს გარეფასადმა ვეღარ გაუძლო დროის მსვლელობას და მოსახლეობამ მისი შეკეთება გადაწყვიტა. ძველი კოლორიტი და სინატიფე ფასადს აღუდგინა მხატვარმა ჟ. ხვისტანმა.

სურათზე: წყარო.

ნაირ — ნაირი

პრესლი — აგენტი?

ნამდვილად მოკვდა თუ არა როკ-ენ-როლის მეფე პრესლი? მე სხვა ვერსია გავიგე...

სენსაცია!

ნორვეგიელმა მწერალმა იან სიორედმა თავის წიგნში პრესლის ფედერალური სადაზვერვო ბიუროს აგენტი უწოდა. 60-იან წლებში, როგორც სიორედი ამტკიცებს, მომღერალი რეგულარულად აწვდიდა ამ უწყებას ინფორმაციას იმ როკ-ვარსკვლავთა შესახებ, რომლებიც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს იყენებდნენ.

ავტორის ვერსიით, პრესლი ცოცხალია და იმალება ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე. ეს კუნძული პრესლიმ სიკვდილამდე ერთი თვით ადრე შეიძინა. კუნძულს გაძლიერებით იცავს ამერიკის ხელისუფლება და მასზე მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ვისი ფეხებია უფრო ძვირი?

სუპერმანეკენების,—ალბათ იტყვით თქვენ და, რა თქმა უნდა, შეცდებით, რადგან მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ფეხების ბედნიერი მფლობელი მაიკლ ჯექსონი გახლავთ. ახლახან ამერიკულმა ფირმამ „ელ ეი გიერ-მა" 20 მლნ. დოლარიანი კონტრაქტი დადო მასთან ტელევიზიით კრისოვკების რეკლამისათვის. კომპანიის მფლობელები ანგარიშში არ შემცდარან—როგორც კი ცნობილი გახდა ამ „საუკუნის გარიგების" შესახებ, ფირმის შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

იზა ბიჭიკოს ასულ ხეცურიანს
ირაკლი კოლიას ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ შეუღლებას, იხარეთ, იმრავლეთ. შეგექმნათ ბედნიერი ოჯახი.

თემურ, ზაურ ბენდელიანები, გერონტი სილაგაძე, ასმათ მეშველიანი, სოზარ სალინაძე, ტუღუ ხაბულიანი, თემურ შკუბულიანი, რომან ლეთოდიანი, იური ჩაკვეტაძე ოჯახებით.

იზა ხეცურიანს
ირაკლი ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

იზა ბიჭიკოს ასულ ხეცურიანს
ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით და იხარეთ.

ირმა ჭაბუკიანი, ნატო ჩაკვეტაძე, მარიკა კოპალიანი, თამარ დაშნიანი, ნინო მეშველიანი.

გილოცავთ

ლეილა გერონტის ასულ სილაგაძეს
გურამ არჩილის ძე კოპალიანს

გილოცავთ შვილის, ნათელას ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში. ბედნიერი ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა.

ცაგერის საკოლმეურნეოთაშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები.

ნინელი ვალიკოს ასულ ხეცურიანს
ნოდარ გალაკტიონის ძე ცხვედიანს

გილოცავთ მეორე ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ცაგერის საფინანსო განყოფილებისა და სახშემოსავლების თანამშრომლები.

კუნძული იზრდება

ყველა ცოცხალი ორგანიზმი იზრდება, მაგრამ არაცოცხალი ბუნების ზრდა ვის გაუგონია?—თურმე ასეც ხდება. დიალექტიკის კანონი, რომ ბუნებაში რაც არსებობს, ყველაფერი წარმოიშობა, ვითარდება და კვდება, ეხება არაორგანულ სამყაროსაც.

კუნძულების ზრდა კი გაგვიგონია, მაგრამ იგი ხდება მარჯნის პოლიპებისაგან, ზღვის ამ უმარტივესი ცოცხალი უჯრედისაგან, რომელიც ძალიან სწრაფად მრავლდება, და ასევე მალე კვდება, რის გამოც წყალში წარმოიშობა უზარმაზარი ფერადი კუნძულები, რომელთა სიგრძე ზოგჯერ ასობით კილომეტრია. მაგრამ თურმე წყალში მოქცეული ხმელეთიც იზრდება, ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ იგი ლეჩხუმიდან 150 კილომეტრითაა დაშორებული, რომ ამ კუნძულის ზრდას ხელს უწყობს ჩვენი მიწა-წყლიდან, ცხენისწყალისა და რიონის მიერ ჩატანილი ნარეცხი ქანების ნაშალი მიწა.

მას დიდ კუნძულს ეძახდნენ, ხოლო შემდეგ „ნიკოლაძის კუნძული" ეწოდა, ქალაქის თავის საპატივცემულოდ. კუნძული მდებარეობს რიონის შესართავში. მისი ზრდის დასაწყისს, გეოლოგიურად არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. მე-16 საუკუნეში ზღვასთან რიონის შესართავის ადგილას პატარა კუნძული არსებობდა. რიონის მიერ დაგროვილი შლამის შედეგად, იგი თანდათან გაფართოვდა და წყლით დაფარული ადგილი იქცა ხმელეთად. კუნძული რიონის მიერ ჩამოტანილი ნალექებით იზრდება"—ასეთ ახსნას იძლევა პროფესორი მ. ძველაია.

„ნიკოლაძის კუნძულის" ფართობი 1809 წელს უდრიდა 102 ჰექტარს, 1866 წელს—213; 1870 წელს—220, ხოლო 1926 წელს 235 ჰექტარს. ამჟამად ამ კუნძულის ზრდის კოეფიციენტი მატულობს, რადგან დღევანდელი მიწის სამეურნეო პირობების გამო, მისი ჩამორეცხვის ციფრობრივი მაჩვენებლები თანდათანობით იზრდება.

ჯ. სალინაძე.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ოლეგ ნემსწვერიძესა და დარეჯან ლაკვეხელიანს დედისა და დედამთილის

გულა ბარნაბის ასული
ქვარიანი-ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: სევარიონ, ლუბა მუშკუდიანები, ჯანუბი ხვადაგიანი, რომან კალანდაძე, თინა ყურაშვილი, ოთარ ქლიბაძე, გივი მურცხვალაძე, ზურაბ ნემსწვერიძე, მიშა ქარსელაძე, გივი გიორგობიანი, გურამ ნემსაძე ოჯახებით იუწყებიან

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილის

გარდაცვალებას.

გალაქტიონ, მარო ჭაბუკიანები, დარიკო ჭიჭინაძე, ამირან, მურმან, ტარიელ ჭიჭინაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილი

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლავდია დავითულიანს სიძის

გრიშა თუთისანის

გარდაცვალების გამო.

ბიჭიკო ბენიძე, ბაბუცა მამარდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა მამარდაშვილი

უახლოესი მეზობლები: მიშა, ალიოშა ჩაფრავები, გრიშა კვირკაშვილი, არდაშ ხაბულიანი, კლავდია, შოთა, ნუგზარ, მიშა, ჟორა გუგავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილი

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 1950 წლის კურსდამთავრებულები ნორა სალინაძე, ლეილა სვანიძე, დოდო კოპალიანი, ნორა ლარცულიანი, ზურაბ ჩიქოვანი, რეზო ახვლედიანი, მიშა ჩაფრავა, აპოლონ გასვიანი, გიგა ჭაბუკიანი, დავით გუგავა, შუქური ყუბუსიძე, გრიშა ბენდელიანი იუწყებიან თანაკურსელის

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილის

გარდაცვალებას.

სერგო ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილი.

დეიდა ლუბა ახვლედიანი იუწყება, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული
მამარდაშვილი

ზაურ ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ელგუჯა ვარლამის ძე ჯიქია

ზურაბ, მამია, ჟორა დაშნიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა მამარდაშვილი

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.